



წელიწადი მისამ.

წელიწადი მეცნიერული საზოგადოებისათვის

სამეურნეო უზრუნველყოფის

# გოდსაგადი



ნაგვარი 14.

№ 2.

### შინაარსი:

ვ. რცხილაძე . . . . .	ბრძოლა ანსეობისათვის . . . . .	3
გადმოხვეწილი . . . . .	სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებანი შვეიცარიაში . . . . .	7
ვ. შენგელია . . . . .	წასაბადი მოღვაწეობა . . . . .	10
ანაზდუელი . . . . .	მინდვრის თაგუების წინააღმდეგ . . . . .	11
ვ. ახოშვილი . . . . .	სოფლის საზოგადოებათა საურადადობად . . . . .	13
ბ. კახელიძე . . . . .	იაფი სესხის საჭიროება სოფლად . . . . .	14
ანგარიში . . . . .	ყურნაღ „გოდსაგადის“ შემოსავალ-გასავალი 1910 წ. . . . .	16
განცხადება . . . . .		16



# სამეურნეო ჟურნალი მოსავალი

(იბეჭდება ორ კვირაში ერთხელ)

წასრულ წელს ჟურნალში დაიბეჭდა წერილები შემდეგი ზიარებისა: — ახოშვილი ვ., ანაზღეული, ახალაია ი., ბერეკაშვილი კ., გულბაათიშვილი ვ., გვარამაძე კ., გორთაშვილი ვ., ედილაშვილი ზ., ვაჭრიშვილი ვ., თაქთაქიშვილი გ., თოიძე გ., იოსელიანი ე., კახელიძე ს., კარბელაშვილი ელ., კარალელი ვ., შანაბელი ა., მდივანი დ., მჭედლიშვილი ვ., ნახუცრიშვილი გ., ონიკოვი კ., როლოვი ა., რცხილაძე ვ., რცხილაძე ს.გ. ვ., რცხილაძე ს.გ. გ., ფურცელაძე ი., ფალავანიშვილი დ., ქუთათელაძე ი., ქათამაძე ვ., ქარცივაძე მ., ყიფიანი პ., ჩივაძე გ., ცხადაძე გრ., ხუნდაძე ს., შავლიყვი პ., ჯანაშვილი მ., ჯიქია ლ., კახელი შვეენახე, სემიონოვი ექიმი.

რედაქცია მოელის თანამშრომლობას სხვებიდანაც.

## თანამშრომელთა საშუალებობა.

ჟურნალის შემოსავლიდან გაისტუმრება ხარჯი სტამბისა და კანცელარიისა, დანარჩენი (თუ რამე დარჩა) წლის დამლევს დაურიგდებათ თანამშრომლებს პროპორციულად მათი ნაშრომისა.

დასაბეჭდად მიღებული წერილები შეიძლება რედაქციამ შეასწოროს და შეამოკლოს. წერილები და კორექსონდენტები, რომელნიც არ დაიბეჭდებიან, არც შეინახებიან დასაბრუნებლად.

რედაქცია მზათ არის აღმოუჩინოს „მოსავლის“ მკითხველებს ყოველ გვარი შუამავლობა სამეურნეო იარაღებისა და მაშინების და აგრედვე ყველა სამეურნეო ნაწარმოების შექმნა-გასაღებაში.

განცხადებები დაიბეჭდება მხოლოდ უკანასკნელ გვერდზე. ჩვეულებრივი სტრიქონი (ვენური ან აკადემიური ასოთი) განცხადებისა ღირს ორი შაური.

წლიური აბონემენტებისათვის განცხადების ფასი რედაქციასთან შეთანხმებით.

განცხადების ფასი წინდაწინვე უნდა იყოს წარმოდგენილი.

თუ შეძლება ექნება რედაქციას, ჟურნალის ხელისმომწერლებს წლის დამლევს გაუგზავნის უფასოდ დამატება-ბროშურას მეურნეობის რომელიმე დარგის შესახებ.

## ჟურნალი წელიწადში ღირს 3 მანეთი.

რედაქციის ადრესი: Тифлисъ, Барятинская, 5. «МОСАВАЛИ».

რედაქტორ-გამომცემელი მ. ი. რცხილაძე



# ბრძოლა არსებობისათვის

## პარაზიტები

არსებობისათვის ბრძოლას ბუნებაში გამოუწვევია ეგრედწოდებული **პარაზიტული** ცხოვრებაც.

**პარაზიტს** ვეტყვით ისეთ არსებას, რომელიც სხვა ცოცხალ სხეულზედ ან სხეულში სცხოვრობს დროებით ან მუდამ და მითი საზრდოობს.

პარაზიტები მაგალითად არიან: მუცლის რგვალი ჭია, რომელიც უფრო ბავშვებს უჩნდებათ სწორე ნაწლევში, ადამიანისა და სხვა ცხოველების ნაწლევებში მცხოვრები თასმის მსგავსი ჭია, სახელად „**სოლიტერი**“ და მრავალი სხვა პარაზიტი, რომელთა შორის შეიძლება დავასახელოთ **ტრიხინაც**.

ტრიხინა ჩნდება პირველად ვირთავის ან თავის ნაწლევებში საჭმელთან ჩაყოლილი შემთხვევით კვერცხიდან; იქვე იზრდება და ზრდადამთავრებული ჰბადავს 8—10 ათასამდე ფუმფულს, რომლებიც ნაწლევებიდან გადიან ხორცის კუნთებში და ვინც შესჭამს ასეთ თავის ან ვირთავის ხორცს, იმასაც შეეყრებიან ხოლმე და უსპობენ სიცოცხლეს.

მალიარიის პარაზიტები დაზრდილნი ერთგვარ კოლოს (*Anopheles*) ქუჭში, თუ ამ კოლომ უკბინა კაცს, შედიან ადამიანის სისხლის წითელ ბუშთებში, იზრდებიან აქ, ზრდადამთავრებულნი მუა-მუა იყოფიან და გარდაიქცევიან

ეგრედწოდებულ **მეროზოიტებათ** (მალიარიის პატარა პარაზიტებათ), რომელიც ახლა სხვა საღ წითელ ბუშთებში შედიან გასაზრდელად და ისევე გასამრავლებლად, მალიარიის პარაზიტები ყველა ერთნაირები არ არიან: ზოგი იმთავრებს ზრდას და ჰქმნის ახალ თაობას ერთი დღის განმავლობაში, ზოგს ამისათვის ორი დღე უნდება, ზოგს სამი...

მალიარიით ავადმყოფსაც ამისდაგვარად ხან ყოველ დღე აციებს, ხან დღე გამოშვებით, ხან სამ დღეში ერთხელ... აციებს მაშინ, როცა სისხლის საღი წითელი ბუშთები **მეროზოიტების** შიგ შესვლით იწამლებიან.

საზოგადოდ უნდა ვსთქვათ რომ ბუნებაში მრავალი სხვადასხვა მანვე პარაზიტების გარდა ისეთივე ბლომად სასარგებლო პარაზიტებიც არიან.

ყველა ამ პარაზიტების არსებობა ერთი უმთავრესთაგანი მიზეზია იმისი, რომ სხვადასხვა დასი ცხოველი ბუნებაში ზომიერ საზღვრებში მრავლდება და არა უსაზღვროდ.

მარტო ერთ ჯიშ პეპელაზედ (*Operophtera brumata*) ნჰ სხვადასხვა პარაზიტი მწერი მოსახლეობს.

იმის მიზეზით რომ მწერთა სამეფოს მწერთა შორისვე ჰყვანან გამრავლების საზღვრის დამდებნი, ბევრი მახარალებელი მტერი აკლდება მცენარეთა სამეფოს, რის გამოისობითაც ბევრი სხვადასხვა მცენარე ინახება ბუნებაში

„მცენარეა და ცხოველნი“.



და მით ცხოვრების სახსარი ბევრ სხვა-  
დასხვა ცხოველს ეძლევა.

### მართობა.

საზოგადოებრიული ცხოვრების შე-  
შოლება ერთ თვისტომთა შორის ყვე-  
ლაზედ დიდმნიშვნელოვან შედეგს  
შეადგენს განვითარებისას, რომელიც  
კი არსებობისათვის ბრძოლას გამოუ-  
წვევია ბუნებაში.

არცერთ მოვლენას არა აქვს ისეთი  
რთული გამოხატულობა, როგორაც  
ცხოველების ერთობას.

არც ერთი იარაღი არ მისცემდათ  
მებრძოლთ ისეთ გამარჯვებას, როგორ-  
საც ერთიერთმანეთთან მიკედლება  
აძლევთ მათ სხვებზე მტრად დაცე-  
მაში, მტრის მოგერიებაში, საჭმლის  
შოვნაში, სადგურის აგებაში, შვილე-  
ბის გამოზრდაში და სხვა.

დედალ-მამალთა ოჯახობრივი ცხო-  
ვრება შვილების გამოსაზრდელად რძით-  
მკვებავ ცხოველებში და ფრინველებ-  
ში ყველასაგან ცნობილი მოვლენაა.  
იგივე არ ითქმის მხოლოდ მწერებ-  
ზედ—ჭიანჭველებზედ და ფუტკრებზე-  
დაც კი, რომელნიც თუმცა სხვებზე  
მეტად და უფრო გონივრულად ზრუ-  
ნავენ შთამომავლობის გამოზრდაზე,  
მაგრამ ზრუნვა იგი მარტო დედლები-  
სათვის გამხდარა ხვედრად და მამლე-  
ბი კი არაფერ მონაწილეობას არ იღე-  
ბენ ამ საქმეში, მიუხედავად იმისა, რომ  
ჭიანჭველებიც და ფუტკრებიც ყველა  
საქმეში სხვებზე მეტად არიან განსა-  
ზოგადოებრიული ცხოვრების მიმყო-  
ლნი.

ზოგი ცხოველების ერთობა მარტო  
იმაში იხატება რომ ჯგუფ-ჯგუფად და-  
დიან, ან დროებით იყრიაყ ერთად

თავს, რომ შეერთებულის ძალით და-  
კმაყოფილონ თავიანთი მოთხოვნები-  
ბა.


რაც შეეხება საერთო სადგურის აგე-  
ბას ერთად საცხოვრებლად, იგი რძით-  
მკვებავ ცხოველებში და ფრინველებში  
იშვიათი შესახვედრია, ხოლო ერთო-  
ბის მოყვარულ მწერებში კი—ჭიანჭვე-  
ლებში, ფუტკრებში და სხვა—ჩვეუ-  
ლებრივ მოვლენას შეადგენს.

—

შესანიშნავი საზოგადოებრივი ცხო-  
ვრება გამოუსახავთ ღრმა წარსულში-  
ვე ფუტკრებს (*Apis mellifica*), კრაზა-  
ნებს (*Bombus*), კელებს (*Uespa*) და  
ჭიანჭველებს. ამათ ცხოვრებაში ერთ  
ფრიად საყურადღებო მოვლენას ვამ-  
ჩნევთ, რომელსაც პოლიმორფიზმი  
ეწოდება სახელად.

მოვლენა იგი იმაში მდგომარეობს, რომ  
სრულიად განვითარებულ დედალ-მამ-  
ლებთან ერთად ზოგ მათგანს გამრავ-  
ლების უნარი აღარა აქვთ, მოყვანილო-  
ბითაც განსხვავდებიან, ხოლო მუშაო-  
ბისათვის კი კარგად არიან განვითარე-  
ბულნი და „მუშებათ“ ითვლებიან გან-  
საკუთრებით.

ეს განსხვავება როგორაც სხეულის  
მოყვანილობაში ისე საკეთებელი საქ-  
მის განაწილებაში ზედმეტად გარკვეუ-  
ლა ჩვეულებრივ ფუტკრებში. განვი-  
თარებით სრული დედა-ფუტკარი და-  
ნარჩენებისაგან განსხვავდება თავისა და  
პირის მოყვანილობით; წინა და უკანა  
ფეხებით და იმითაც რომ არც ნესტა-  
რი აქვს, არც სანთლის გაკეთება შეუ-  
ძლიან. მოვალეობაც სხვა აქვს დე-  
და-ფუტკარს: იგი არც ახალი ოჯა-  
ხის დაარსებაზე ზრუნავს თვით, არც  
ფიჭის გაკეთებაზე, არც საზრდოს მო-



გროვებაზე, არც ჩამომავლობის მოვლავატრონობაზე. ყვავილების მტვერის მოსაგროვებლად შესაფერი ფენი მართო მუშა ფუტკრებს გაზრდიათ, ხოლო ამითშიაც ყველა ერთ საქმეს არ აკეთებს: ახალგაზდა მუშა-ფუტკრები ფაფას უმზადებენ ფუმფულს და აქმევენ, დიდები კი საზრდოს მოსაგროვებლად დადიან.

ფუტკრების ოჯახი მუდმივია. ახალი წარმოსდგება მხოლოდ ძველი ოჯახიდან მის ერთი ნაწილის (მართვის) გადასახლებით. თითო ოჯახს თითო დედა ჰყავს.

ჭიანჭველების საზოგადოებრივი ცხოვრება უფრო რთულ სხვადასხვაობას წარმოადგენს გაცილებით. არსებობისათვის ბრძოლას ბევრი რამ გასაოცარი უსწავლებია ამათთვის. ერთი ჯიშის ჭიანჭველებს, მაგალითად, უსწავლიათ სოკოს ბალის გაშენება. ბალს აშენებენ სოროში ან სოროს გარეთ მალა. თვით გაშენება ასე ხდება: სხვადასხვა მცენარების ფოთლებს აქუცმაცებენ წვრილად და ამ წვრილ ნაწილებზე ვით ნიადაგზე ახარებენ ხსენებულ სოკოს (*Rhizites gongylophora*). როცა სოკო გაიზრდება, ზედ ჩუტყვავილის მზგავსს პატარა ბუშთებს („კოლრაბი“) დააყრის, რომლებშიაც გროვდება ჭიანჭველების საქმელი წვენი.

ამ ჯიშის ჭიანჭველების საზოგადოებაში სხვადასხვა ტანისა და მოყვანილობის წევრებსა ვხედავთ. აქ არიან ვეებერთელა დედლები, მათზე მომდევნო მამლები და მრავალი მუშა-ჭიანჭველები სხვადასხვა ტანისა და თავის მოყვანილობისა.

ასეთ საზოგადოებებს ზოგჯერ 100 საყენი სიგძის ხვრელები აქვთ დამართული საცხოვრებლად; ხან 25—30 კვ. საყ. უჭირავს ამათ კარმიდამოს.

ზოგჯერ ხის გაზრდა, რომელზედაც ეს ჭიანჭველები თავიანთ იერიშს მიიტანენ ხოლმე, სრულიად შეუძლებელი ხდება: ხის უოთოლს აგლეჯენ რგვლად ხორცს და მიაქვთ ბალის გასაშენებლად; ხე ხმება.

ერთ რიგ ჭიანჭველებს, რომელთაც „მეურნეებს“ ეძახიან, თავიანთ სოროში სხვადასხვა თესლეულობა შეაქვთ. თუ ხორბალს ჩენჩო აქვს, აშორებენ, სოროდან უკან გამოაქვთ და გასუფთავებულ ხორბალს კი სოროში ინახვენ საქმელად. იმავე ჯიშის ჭიანჭველებმა თავიანთ სოროების ახლო-მახლო ადგილების გამარგვლაც კი იციან: ჰგლეჯენ თავიანთის გამოუსადეგარ ბალახებს და სასარგებლოს ეგრედწოდებულ „ჭიანჭველების ბრინჯს“ კი (*Aristida stricta*) სტოვებენ გასაზრდელად.

გასაოცარ მოვლენად უნდა ჩაითვალოს ჭიანჭველების მიერ „მეწველი ძროხების“ ყოლაც.

ჭიანჭველებს საშინლად უყვართ ტკბილეულობა. მრავალ ჭია-ლუათა შორის არიან ერთი ისეთი ჯურა ჭიები, რომელთაც ტკბილი განავალი აქვთ. ეს ჭიები სცხოვრობენ სხვადასხვა მცენარეების ფოთლებზე, ღეროს ქერქის ქვეშ ფუტკროებში და ხან ფესვებზე. აი ამ ჭიების განავალს, როგორც ტკბილს, ეტანებიან ჭიანჭველები ძალიან და სჭამენ. თვით ჭიებს კი არამც თუ არაფერს ერჩიან, პირიქით გადაჰყავთ იმ ტოტებზედაც, საცა არ არიან და თავგამოდებით ებრძვიან მათ მტრებს (ჭია-



მარიას ფუმფული ამ ქიების დაუძინებელი მტერია). ერთი სიტყვით, ჰპატრონობენ და უფლიან როგორც შეუძლიანთ, რომ უფრო მეტად გაამრავლონ.

შემჩნეულია რომ თვით ეს ქიებიც, როცა მათ ქიანჭველები „სწველიან“, წვეთ-წვეთობით იძლევიან გამონავალს, უამისოთ კი სითხეს ღონივრად გამოასხმენ ერთბაშად ფოთოლზედ, სადაც იგი რჩება ნამის მზგავსად და ეწოდება „ოლი“.

ქიანჭველები თავიანთი უღწევაშებით უღიბებენ „მეწველ ძროხებს“, როცა მათი მოწველვა უნდათ, და ისინიც „იწველებიან ნელ-ნელა“.

ზოგი ქიანჭველები საკუთრივ აკეთებენ გზას „მეწველ ძროხებთან“, მისასვლელად, ზოგნი ამ გზებზე ზემოდან გადასახურათ სხვადასხვა ნაირ შენობებს აგებენ, ზოგნი თავიანთ ბინებში ამ „ძროხების“ კვერცხებს ეზიდებიან, ზოგთ კიდე კვერცხიდან გამოსული „ძროხა“ მიჰყავთ დასაბინავებლად და მოსავლელად.

ქიანჭველები როგორც ამ „მეწველ ძროხებთან“ ისე ზოგ ხარაბუზებთანაც არიან შეკავშირებულნი.

ქიანჭველებთან ერთ ბინაზე სცხოვრობს, მაგალითად, ხარაბუზა *Atemeles*, რომელსაც ქიანჭველა ფაფასაც კი უმზადებს თავის პირში და აჭმევს, როცა ეს ხარაბუზა თავზედ ჭებანს ქიანჭველას და სთხოვს საქმელს.

სამაგიეროდ ხარაბუზას *Lomechusa*, როგორც მნახველები ამბობენ, თავის პირში მომზადებული ფაფათი არა ერთხელ გაუძღვია დამწეული ქიანჭველა.

„ქიანჭველებმა *Formica Sanguinea* რაოდენიმე ყოყმანის შემდეგ მიიღეს ხარაბუზა *Atemeles*“—ამბობს ერთი

მკვლევართაგანი—„მაგრამ, ხარაბუზამ საქმლის თხოვნა დაუწყო ჩვეულებრივ, ქიანჭველა ჯერ განზე გაუხტა ხარაბუზას, აჰხედ დაჰხედამას, გაშინჯა და მერე ისე მისცა საქმელიო.“

„ქიანჭველები *Formica Sanguinea*—სწერია იქვე—სრულებით დაუდევრად ექცევიან მათთან ერთად მცხოვრებელ ხარაბუზას *Dinarda dentata*, მაგრამ როცა ამ ქიანჭველებთან მოათავსეს დიდრონი ჯიშის ხარაბუზა *Dinarda marekeli* და ქიანჭველებმა გასწივგამოსწიეს ამ ხარაბუზას ფეხებით, გაგლიჯეს შუაზე და შექამეს. ამის შემდეგ იგივე ქიანჭველები მიესივნენ თავიანთ მობინადრეებსაც *Dinarda dentata* და ისინიც ყველანი შექამესო.“

ამ დაკვირვებიდან სჩანს, რამდენად რთული გრძნობიერება ჰქონიათ ქიანჭველებს.

უილერი ამბობს რომ მუშა-ქიანჭველებს *Celobopsis* (ეს ჯიში ჩვენშიაც არის) ჰყავთ ერთგვარი დიდთავა ქიანჭველები, რომელნიც სალდათების როლს ასრულებენ. ეს სალდათები დგანან ხეში გაკეთებულ სოროსთან და თავიანთი დიდრონი თავებით ჰკეტავენ სოროს შესავალს. თუ რომელიმე მუშა-ქიანჭველა მოისურვებს სოროში შესვლას, უღვაშებით დაუკაკუნებს სალდათებს თავში, ისინიც გზას აძლევენ, მერე ისევ მიებჯინებიან თავებით სოროს შესავალს და ჰკეტავენ.

დარვინისათვის ერთ 80 წლის მოხუცებულ კაცს ეთქვა: „ქიანჭველების *Formica rufa* \*) ერთმა ბუდემ, რომე-

\*) *Formica rufa* პატარა მოწითალო ქიანჭველაა, რომელიც როგორც სხვაგან ისე ჩვენშიც ბლომათ არის.



ლიც მე ჩემს პატარაობაში მქონდა შენიშნული, აქნობამდე გასძლოვო.“

შესანიშნავ მაგალითს ერთობისას არსებობისათვის ბრძოლით გამოწვეულს წარმოადგენენ კიბო-ეული ანუ პაგური და აქტინია *Sagartia parasatica*, რომელიც კიბო-ეულს თავის ბაკანზე დააქვს და არა ჩოთირობს.

კიბო-ეულს სხეულის შუაწელი, მუცელთან, თხელი კანით აქვს გადაკრული. ამ ნაწილის დასაფარავად, რომ არაზედ აეგოს, კიბო ბაკან-წამოცმული დაიარება და ამ ბაკანზე კიდევ აქტინია არის ამოსული. როცა ბაკანი დაუძვე

ლდება ან დაუპატარავდება იცვლის, აქტინია ძველ ბაკანიდან ახალზე გადააქვს. თუ ამ ახალზე არ დადგა, სხვა შესაფერ ბაკანს ეძებს, ვიდრე აქტინიას ზედ დააბინავებს.

ესეთი შეერთებული ცხოვრებით ორივენი სარგებლობენ: აქტინია ქინჯარისაებრ მსუსხავი ბევრ მტერს არიდებს კიბოს, კიბო კიდევ აქეთ-იქით წასვლა-წამოსვლით საზრდოს შოვნას უადვილებს აქტინიას, რომელიც ხან თვით კიბოს საზრდოთიც კი სარგებლობს.

არც ადამიანია ამ საარსებო ბრძოლის გარეშე, ხოლო ამაზე მერე.

გ. რცხილაძე

## სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებანი შვეიცარიაში

(წერილი შვეიცარიიდან)

დასავლეთ ევროპაში ყველაზე მეტად საყურადღებო ქვეყანა შვეიცარია არის, როცა ახლო გაიცნობ აქაურ ხალხის ცხოვრებას. რიცხვი მცხოვრებლებისა ამ ქვეყანაში სულ სამნახევარ მილიონს უდრის, ესე იგი იმდენი ხალხი სცხოვრობს აქ დაახლოებით, რამდენიც ტფილისისა და ქუთაისის გუბერნიებში. აი ასეთ პატარა ქვეყანაში იმდენი რამ საყურადღებოა მეტადრე ჩვენ ქართველებისათვის, რამდენსაც დიდ სახელმწიფოებშიაც ვერ ნახავთ.

ჯერ უპირველესად ყოვლისა შესანიშნავი შვეიცარიაში ის არის; რომ აქაური ხალხი ყველაფერში ერთობის შემოღებას ცდილობს, ყოველ თავის გაჭირებას ერთმანეთთან წყობრივ შეკავშირებით ებრძვის და არა ისე დაქსაქსვით და ერთმანეთის გაუტანლო-

ბით, როგორც ეს ჩვენშია ჩვენდა სამწუხაროდ.

აუარებელი რიცხვი ახანაგობებისა, საზოგადოებებისა, კავშირების, პატარა პატარა ჯგუფებისა და სხვა დასხვა დაწესებულებებისა ითვლება შვეიცარიაში. სოფელი ცდილობს ქალაქს არ ჩამორჩეს ამ მხრივ, ქალაქი კიდევ სოფელს.

ყველაზე მეტი მნიშვნელობა ამ დაწესებულებებში, რასაკვირველია, სასოფლო-სამეურნეო დაწესებულებებს აქვთ, რომელნიც სულ მიწას ჩასჩერებიან და ცდილობენ რაც შეიძლება მეტი მოსავალი მოაყვანიონ. შედეგი ამათი მოქმედებისა შემდეგი ნიხრიდანა სჩანს.

თითო გექტარ მიწას (ერთი გექტარი ერთ დესეტინაზე ცოტა პატარაა, 1 გ. = 9/10-დ.) რვა წლის განმავლობაში



აი რამდენი შემოსავალი უძლევია სა-  
შუალოდ მთელ შვეიცარიაში:

1901 წელს.	37 მან.	1905 წ.	62 მ.
1902	„ 53	1906	„ 73
1903	„ 64	1907	„ 80
1904	„ 61	1908	„ 77

რასაკვირველია, მეტისმეტი იქნე-  
ბოდა, რომ მეურნეობის ესეთი წარმა-  
ტება მარტო სასოფლო-სამეურნეო სა-  
ზოგადოებათა დაარსებით აგვეხსნა  
მთლად, მაგრამ რომ ამ საზოგადოებებს  
დიდი წილი უდევთ ამ საქმეში, ამას  
ეჭვი არ უნდა.

შვეიცარიელებს ერთი დიდი საგლე-  
ხო **კავშირი** აქვთ დაარსებული, სადაც  
140,000 წევრია ჩაწერილი. მთელი  
გლეხობა შვეიცარიაში ერთი მილიონი  
ითვლება. ერთ გლეხის ოჯახში რომ  
ხუთი სული ადამიანი (დიდი და პატა-  
რა) ვიანგარიშოთ, გამოვა რომ ორი  
მესამედი ნაწილი მთელი გლეხობის  
ოჯახებისა სულ ამ ზემოხსენებულ კავ-  
შირში ყოფილან წევრებად ჩაწერი-  
ლები.

მიზანი ამ დიდებული დაწესებულე-  
ბისა იმაში მდგომარეობს რომ შვეი-  
ცარიის მართველობას დაეხმაროს გლე-  
ხების გაჭირებათა გამოკვლევაში და მათ  
დაკმაყოფილებაში.

ხოლო რაც შეეხება გლეხთა თვით-  
მოქმედებას და ერთიერთმანეთისადმი  
დახმარებას, ეს ყველა დაბა-სოფლებ-  
ში არსებულ სასოფლო-სამეურნეო სა-  
საზოგადოებებით, კავშირებით და სხვა  
კოოპერაციებით სრულდება, რომელ-  
ნიც შედიან წევრებად **შვეიცარიელ  
გლეხთა-საერთო კავშირში.**

სხვადასხვა წვრილი სასოფლო-სა-  
მეურნეო დაწესებულებანი შვეიცარია-

ში 1904 წელს 2789 ითვლებოდა  
რომელნიც შემდეგ უფრო მეტად გამ-  
რავლდნენ და 1909 წელს უკვე 4033  
დაწესებულებას შეადგენდნენ რიცხ-  
ვით. მაშასადამე, ხუთი წლის განმავ-  
ლობაში, როგორც ხედავთ, 1244 ახა-  
ლი სასოფლო-სამეურნეო დაწესებუ-  
ლება დაარსებულა და ამასთანავე თი-  
თო გეკტარ მიწის შემოსავალს 20 მა-  
ნეთით წაუმატნია.

ნეტაი რას აკეთებენ ეს ამოდენა  
სამეურნეო კოოპერაციები, ან რანაი-  
რად ეხმარებთან სოფლის მეურნეობას?  
ძალაუნებურად იკითხავს ჩემი მკით-  
ხველი.

ამის პასუხი მხოლოდ მოკლედ შემიძ-  
ლიან მოვახსენოთ, რადგან, ვიცი არც  
ეურნალი, არც მისი რედაქტორი გრძ-  
ლად გაჭიანურების ნებას არ მომცემენ.

ყველა ეს დაწესებულებანი იყოფიან  
ოთხ რიგად: 1) **სავაჭრო** ამხანაგობა-  
ნი, რომელნიც ყიდულობენ თავიანთ  
წევრებისათვის საჭირო საქონელს და  
პყიდიან ყველა მათ ნაწარმოებებს;  
2) **მწარმოებელთა** ამხანაგობანი; 3) **სა-  
კრედიტო** დაწესებულებანი და 4) სხვა  
დასხვა გვარ ქონებათა **დასაზღვევი**  
საზოგადოებანი.

სავაჭრო ამხანაგობა შვეიცარიაში  
სულ 989 ითვლება დღეს. ყველაზე  
ბლომათ მწარმოებელთა ამხანაგობანი  
არიან.

ზოგნი თითქმის ყველა გვარ ნა-  
წარმოების მომხადებაში უამხანაგდე-  
ბიან ერთმანეთს, ზოგნი კი მარტო  
ერთი ან რამდენიმე დარგის ნაწარ-  
მოებს ამხადებენ საერთოდ. იშვიათად  
შებვდებით დღეს შვეიცარიაში ისეთ  
სამეურნეო ნაწარმოებს, რომ იგი ან  
მთლად, ან რომელიმე მისი ნაწი-





ლი კოოპერატიულად არ მზადდებოდეს, ან არ ცდილიყვნენ მისი გამკეთებელნი რომ ამ სამუშაოში შეკავშირებულიყვნენ.

სამეურნეო კავშირებთა შორის უფრო ყველის გამკეთებლების კავშირები გავრცელებული დღეს შვეიცარიაში.

მთებით სავსე შვეიცარია, რომელიც ამ მხრივ ჩვენს სამშობლოს წაგავს, თავისი დიდძალი საძოვრებით ხელს უწყობენ მესაქონლეობას და მერძე-მეყველეობას.

შვეიცარიის ყველს მთელ დედამიწის დუნიაზედ აქვს სახელი გავარდნილი.

ცალკე-ცალკე მუშაობა ამ საქმეში გლეხებისათვის აქ წვალებად გარდაიქცეოდა, რომ ერთმანეთს არ მიზღვამოდნენ და საერთოდ არ ემუშავნათ. ან კი სად შესძლებდა ყოველი მათგანი ამ საქმის ცალკე მოწყობას და იმოდენა ხარჯის გაწევას, რამდენსაც ყველის ქარხანა თხოულობს.

აი ამიტომ დღეს აქ თითქმის ყოველ სოფელში შვეიცარელი გლეხები ერთიერთმანეთთან მიდგომით ამზადებენ ყველებს. ყველის ქარხანა საერთო აქვთ, მეძროხე საერთოდ უჭირავთ, ქარხნის ყოველ გვარ ხარჯს საერთოდ ეწვევიან და ყველს, რამდენიც გამოვა, ერთმანეთ შორის იყოფენ იმის მიხედვით, ვისი რამდენი მეწველი ძროხა იყო ბერაში და თითოეული მათგანი ცალკე-ცალკე რამდენს იწველიდა საშუალოდ.

მერძე-მეყველეობის ამხანაგობა შვეიცარიაში დღეს 1974 ითვლება.

შეადარე, მკითხველო, ეს რიცხვი შვეიცარიის მთელ მცხოვრებლებს რიცხვს ან და მარტო იქაურ სოფლე-

ბის გლეხთა რაოდენობას და დარწმუნებული ვარ, შენს გაოცებას საზღვარი არ ექნება.

მერძე-მეყველეობასთან დაკავშირებულია მესაქონლეობაც. იმდენი მეტი გამოსავალი ექნება თითოეულ ბერას, რამდენადაც მეწველი საქონელი კარგი ჯიშისაა და მოვლაც კარგი აქვს. აქედან საქირო ხდება ისეთი კოოპერაციების დაარსება, რომელნიც მიზნად გაიხდიან: 1) ძროხების სამაკებლად კარგი ბულას შეძენას, 2) სიის შედგენას ახლად დაბადებული ხბორების ჩასაწერათ და მათი დედ-მამის დასანიშნათ და 3) იმის შესწავლას, რაში უნდა მდგომარეობდეს ძროხის **კარგი მოვლა** და როგორ უნდა აირჩეს ჯიშისანი ძროხა ძროხების ერთბაშად სყიდვაში.

საქონლის ჯიშის გასაუმჯობესებლად შემდგარი ამხანაგობანი მარტო ძროხების გაუმჯობესობაზე როდი ზრუნავენ. ზოგნი ცხენების გაუმჯობესებას იხდიან მიზნად; ზოგნი ცხვრის, ღორის ფარისას და სხვა. ასეთი ამხანაგობანი შვეიცარიაში ეხლა 804 ითვლება. შვეიცარიის მართველობაც დიდ მფარველობას უწევს ამ საქმეს იმიით რომ საუკეთესო ჯიშის საქონელზე პრემიას ნიშნავს თავის მხრივ და ყველა სხვა გვარ დახმარებას აძლევს ამხანაგობებს.

მწარმოებელთა ამხანაგობებს ეკუთვნიან აგრედვე ის ამხანაგობანიც, რომელნიც სხვადასხვა სამეურნეო მაშინა-იარაღების შესაძენად არსდებიან. ასეთი ამხანაგობანიც დღეს 97 ითვლება აქ.

დანარჩენი ორი გვარი დაწესებულებანი: **საკრედიტო** და **დასაზღვევი** შე-



დარებით ნაკლებად არიან გავრცელებულნი შვეიცარიისში.

საკრედიტო ამხანაგობა ითვლება სულ 109, შემდგარი 6637 წევრისაგან, რომელნიც საერთოდ 10 მილიონამდე მანეთ თანხას ატრიალებენ წელიწადში.

კოტ-კოტაობით, მაგრამ ყოველ-

წლივ მატულობენ ეხლა ისეთი მანძილი გობებიც, სადაც ვენახების დაზღვევა შეილება სეტყვისაგან. 1908 წელს 90,000 პოლისი (დაზღვევის ბარათი) ითვლებოდს გატანალი, რომელთ საერთო ჯამი 25 მილიონ მანეთს უდრიდა.

გადმოხვეწილი

## წასაბაძი მოღვაწეობა

შლისელბურგის მახრასში რიაბოვის სამეურნეო საზოგადოებამ შარშან, 1910 წელს, განიზრახა საზოგადოების წევრებისათვის შეესწავლებინა ძროხების საქმელი ბოლოკის მოყვანა.

ამისათვის გამგეობამ ყოველად უწინარეს დანიშნა საზოგადოების წევრთა კრება. ამ კრებაზე მოწვეულმა აგრონომმა წაიკითხა მოხსენება ძირნაყოფი მცენარეების დათვისისა და მოვლამოყვანის შესახებ და შესაეებ იმისათუ რამოდენა სარგებლობა შეიძლება მიიღოს კაცმა, თუ ასეთ მცენარეების თესვას შეუდგება მეწველი ძროხების გამოსაკვებად. მოხსენების წაკითხვის შემდეგ ამ კრებაზედვე დანიშნეს კონკურსი: დაადგინეს საჯაროდ გამოსაცხადებლად რომ ვინც ძროხების საქმელ ბოლოკის საუკეთესო მოსაველს მიიღებს, მათ საჩუქარი მიეცემათ რიაბოვის სამეურნეო საზოგადოებისაგან: 10,15,20 ან 25 მანეთი.

კონკურსის პირობა ასეთია იყო მიღებული: კრების მიერ ამორჩეული ექსპერტთა კომისია გაშინჯავს, ვის როგორი ბოლოკის მოსაველი მოუვა იმ პირთ შორის, რომელნიც კონკურსში მონაწილეობას მიიღებენ, და დააჯილდოვებს. პრემიის მიიღებნი მოვალენი

იქნებიან საზოგადოების წევრთა კრებას მოახსენონ: ვინ როგორ დაამუშავა ნიადაგი ბოლოკის დათვისამდე, როგორ დათესა, როგორ გააპატივა, მოუარა მოსაველს და სხვა.

ასე დაყენებულ საქმეს ერობამაც დახმარება აღმოუჩინა: საზოგადოებას მისცა კონკურსისათვის თესლი და მინერალური სასუქები უფასოდ.

გამგეობამ ამ კონკურსით ბევრი პირი დააინტერესა და მით საზოგადოდ ხელი შეეწყო სამეურნეო სწავლაცოდნის ხალხში გავრცელებასაც.

კონკურსში მონაწილეობა მიიღეს ათმა გლეხმა კაცმა. ყველა მათგანს რჩევა-დარიგება მიეცა გამოცდილი აგრონომისაგან, რომელიც დროგამოშვებით დაიარებოდა საკონკურსოდ დათესილ ბოლოკის დასათვალისწინებლად და საჭირო დახმარების აღმოსაჩენად.

შვიდ ნომბერს 1910 წელს მოხდა რიაბოვის სამეურნეო საზოგადოების წევრთა კრება, რომლის წინაშე წაკითხულ იქმნა ექსპერტთა გარდაწყვეტილება შესახებ იმისა ვის რა პრემია მიუსჯეს კონკურსში მონაწილეებს და პრემიის მიმღებლებმაც თანხმად მათ-



დამი ნაკისრებ პირობებისა მოახსენეს კრებას, როგორ დათესეს და უვლიდნენ თავიანთ მოსავალს.

ყველა ამ გლეხთაგანი გამოტეხით ამბობდა, ვინ რომელი დარიგება არ აასრულა აგრონომისა წესიერად.

ბოლოს აღმოჩნდა რომ პირველი საჩუქარი იმან გაიკრა, ვინც ისე მოქცეულიყო, როგორც აგრონომი ურჩევდა.

საზოგადოების გამგეობაც დაარწმუნდა, რომ ამ გზით მან თავის მიზანს საესებით მიაღწია: შეასწავლა საზოგადოების წევრებს ძირნაყოფი მცენარეების თესვა-მოყვანა და ახლო მომავალში ხალხს ამ ცოდნით ბევრი სარგებლობა მიეცემა.

ვ. შენგელი

## მინდვრის თავგების წინააღმდეგ

შარშანდელმა 1909 X 1910 წ. უთოვლო თბილმა ზამთარმა წლიურ შეგვატყობინა თავისი სუსხი. თითქმის მთელი კავკასიის ყოველი კუთხიდან იმოდენა თავგის გაჩენას იტყობინებინ მინდორში და ბოსტან-ბაღ-ვენახებში, რამდენიც არავის არ ახსოვს რომ ოდესმე ყოფილიყო.

დიდი ხანია მას აქეთ რაც თავი ყოველ წლივ ჩნდება ჩვენ მინდვრებში და ცოტად თუ ბევრად აზარალებს მოსავალს, მაგრამ იმოდენა ზარალი, რამდენსაც ეხლა გვიქადის ეს მტერი და ზოგან კიდევაც გაუპართლებია თავისი მუქარა, ჯერ არა თქმულა და არც გაგონილა ჩვენში.


ვინც უკვე სწვნია შედეგი ამ უბედურებისა, ის დღეს დიდ საგონებელშია ჩავარდნილი და გაფაციცებით დაეძებს თავგის გასაწყვეტ საშუალებას. ზოგან, სადაც თავი ჯერ დიდ მანძილზე არ მოდებულა, კატები გაუჩენიათ მინდორში და მუსრს ადენინებენ. ხოლო იქ კი, სადაც ძალიან არის თავი გამრავლებული, არ იციან რა ქნან ან როგორ მოიქცნენ.

თავგების გასაწყვეტ საუკეთესო საშუალებად დღეს **ბაცილა მერეუკოს-**

**კისა** ითვლება. ამ ბაცილებს ამრავლებენ განგებ მათთვის მომზადებულ წვენში, რომელიც პირდაცმულ ბოთლებით ინახება და ვისაც რამდენი ჰსურთ ყიდულობენ, უკიდებენ ფქვილს, ზელავენ კარგად და შემდეგ ამ ცომიდან ბერძნული თხილის ოდენა **სორსლებს** არგვალბენ. თითო ასეთი სორსალი უნდა სოროში ჩაეტენოთ თავგებს ისე რომ ერთმა მათგანმა მაინც შექამოს. თავი, რომელიც ამ ცომს შესჭამს, სასიკვდილოდ მოიწამლება და როცა ამხანაგები შეატყობენ რომ უნდა მოკვდეს, აღარ აცდიან, თითონვე ჰკლავენ ამ თავგს ჯერ ისევ ცოცხალს და სჭამენ. რომელიც შესჭამს ამ მოწამლულ თავგის ხორცს შემდეგ ისიც კვდება.

ესეთი საწამლავი თავგებისთვის ბოთლებით კავკასიის სამეურნეო საზოგადოებაში ისყიდება ტფილისში, ბოთლი **სამ** აბაზად.

ერთი ბოთლი საწამლავი ორ გირვანქა ფქვილს ჰყოფნის ასაზელად. თითო ასეთი ცომიდან გამოდის 600 სორსალი, რომლებითაც თავგების 600 სოროს შეიძლება სასიკვდილო მანე დაეგოს.



აქვე მოგყვავს ბ-ნ ე. ჯუნკოვსკი-საგან შედგენილი დარიგება შესახებ იმისა როგორ უნდა იხმაროთ თავგების გასაწყვეტად მინდორში ზემოხსენებული საწამლავი წვენი, რომელშიაც ბაცილა მერეთკოვსკისა არის გამრავლებული.

### საწამლავის თვისება და შენახვა

1. საწამლავი წვენი სრულებით უვნებელია ადამიანისათვის, შინაური ცხოველებისათვის და ფრინველებისათვის; სანახაობით მღვრივეა და სუნით კი ახლად მოზედილ ცომს წააგავს. თუ ამ წვენს აყროლებული კვერცხის სუნი დასცემს, სახმარებლად აღარ ვარგა.

2. ამ საწამლავით მოწამლული თავგი 5-დამ 10 დღემდე კვდება.

3. პირდაცმულ ბოთლში საწამლავ წვენს ძალა დიდხანს ენახება, თუმცა რაც მალე იხმარება იმდენი უფრო სჯობია.

4. ბოთლებს ამ საწამლავით, სახლში ინახავთ თუ სარდაფში სულ ერთია, სინათლე არ უნდა ეკარებოდეს.

### საწამლავის ხმარება.

5. ახლით თუ არა ბოთლს, წვენს მაშინვე უნდა მოეკიდოს ფქვილი და ცომი მოიზილოს. ახდამდე ბოთლი უნდა შეაქანჭყაროთ რომ რაც ლექია შიგ ერთნაირად გაეზას მთელ წვენში. თუ დიდხანს დასტოვებთ ბოთლი პირახდილი, წვენი შეიძლება აყროლდეს და ძალა გამოეღიოს.

6. ერთ ბოთლ წვენს ორი გირვანქა ფქვილი უნდა მოეკიდოს და ჩვეულებრივ აიზილოს.

7. ცომი, როცა კარგად მოიზილება, უნდა გუნდებთ ამოიღოთ, დაადგელოთ წვრილად რომ სისქე ერთი დუიმი


გაუხდეს, დასტრათ ნაქერ-ნაქერი თითო ნაქერს სიგდეც ერთი დუიმი ჰქონდეს და შემდეგ დაარგვალოთ. ერთი ბოთლიდან 600 ასეთი სორსალი მზადდება.

8. ამ სორსლებით უნდა მოიწამლოს მინდორი, სადაც თავგია, მხოლოდ სორსლები კი არ უნდა გადაიყაროს მინდორში აქეთ-იქით, არამედ ყოველ სორსოში, სადაც თავგები არიან, უნდა შიგ ჩაიტენოს, რომ თავგებმა შექამონ და არა ფრინველებმა ან ძაღლებმა.

9. ყოველი მოწამლული თავგის სხეული სასიკვდილოა იგივე სორს იმ თავგებისათვის, რომელთაც ასე თუ ისე არ ერგოთ მოწამლული ცომი, რადგან თავგები მომაკვდავ ამხანავს ჯერ ისევ ცოცხალსავე სქამენ და იწამლებიან. საწამლავისაგან ღონე მიხდილი თავგი სიკვდილის წინ სორსიდან გარედ გამოდის და ხშირად მას თავგების მაგივრად გარეული ფრინველი ან ნადირი შესჭამს ხოლმე, ისე რომ მისი სხეული უმნიშვნელოდ იკარგება დანარჩენ თავგების გაწყვეტაში.

10. საწამლავი წვენის ძალა უნდა გაშინჯულ იქმნას ლაბორატორიის საშუალებით. ცომი უნდა ახლად მომზადებული იხმარებოდეს შეძლების და გვარად. თუ ცომის ხმარება მოზედილის შემდეგ მაშინვე რითიმე დაპრკოლდა და ძალაუნებურად უნდა გადაიდოს რამდენიმე ხნით, შენახვა მას უსათუოდ სიცივეში უნდა, რადგან სითბოზე მალე ამყაყდება და ძალა დაეკარგება.

11. უნდა ვიცოდეთ რომ მინდორში, სადაც თავგია გაჩენილი, თავგის სორსები ბლომად არის. უმეტესი რი-



ცხვი ამ სოროებისა ცარიელებია, თავები არ არიან შივა, და ამისა გამო ყველა სოროში ცომის გუნდის ჩადება ტყუილი დაკარგვა იქნება დროისა და მასალისა.

ამიტომ ცომის ხმარების წინა დღით ყველა სოროებს მიწა უნდა მიაშალოთ, ოდნოვ მისტკეპნით გამოსავალი და მეორე დღეს იმ სოროებ-

ში ჩასტენოთ ცომის გუნდა, რომელიც ახლილები იქნებიან. თუ მინდორი დიდია და ორჯელ დავლა მისი დიდ ხარჯს მოითხოვს, ეს მაინც უნდა მოხერხდეს რომ ცომის ჩამტენავებს თვალი ჰქონდეთ გაჩვეული იმ სოროების შეტყობაში, რომელშიაც თავები არიან, რომ შრომამ უნაყოფოდ არ ჩაიაროს.

ანაზღეული

## სოფლის საზოგადოებათა საუკრავდებოდ

მიწათ-მოწყობის და მიწათ-მოქმედების მთავარი სამართველო უგზავნის სოფლის საზოგადოებებს საქონლის გასაუმჯობესებლად სოფელში კარგი ჯიში საქონლის ბუღას.

მთავარი სამართველოს ფულით ნასყიდი ბუღა სახელმწიფო საკუთრებას შეადგენს.

სოფლის საზოგადოებამ, რომელიც ისურვებს ასეთი ბუღის გამოწერას, შემდეგი პირობები უნდა შეასრულოს:

1) სამინისტროსაგან დანიშნული პირი სოფელთან შეთანხმებით აარჩევს იმ ადგილს, სადაც ბუღა უნდა იმყოფებოდეს მთელი წლის განმავლობაში და ძროხები მოჰყვანდეთ სამაკებლად.

ბუღა შეიძლება კერძო მემამულესთანაც მოთავსდეს ხოლო იმ პირობით კი რომ იქ ყოფნით უმთავრესს მიზებს არ ეღალატოს, უფრო სოფლის საქონელს ეხმარებოდეს.

დანიშნულ რიცხვზე მეტი ძროხა არ უნდა მიერეკოს ბუღას, რომ მალე არ დაიძალოს და არ გაფუჭდეს.

2) ბუღა შეიძლება სოფლის ძროხაშიაც გაიშვას, ხოლო შემდეგის პირობით: ა) თითო ასეთ ბუღაზე იმდენი ძროხა უნდა ითვლებოდეს ნახირში,

რამდენსაც სამინისტროსგან გამოგზავნილი პირი გარდაწყვეტს ბუღის ღირსების მიხედვით, რომ ბუღა არ დაიძალოს; ბ) ამავე ნახირში არ შეიძლება გაიშვას არც სხვა ბუღა, არც ხარი, არც ისეთი დეკეულები, რომელნიც ჯერ სამაკებლად არ არიან მოსწრებულნი. ბუღას ძროხების სამაკებლად სამინისტრო ფასდადებით იძლევა. გარდასახადი იანგარიშება ან თითოეულ სამაკებულ ძროხაზე, ან რაც ხანი სარგებლობდნენ იმის მიხედვით, ან და სოფელი კისრულობს ბუღის მოვლასა და შენახვას მთელი ზამთარი ან მთელი წელიწადი. ზამთარში ბუღას ხადგური უნდა თბილი, წმინდა და ხალვათი ჰქონდეს, მალიმალ გაუნიავდეს და თითონაც ხშირად გამოჰყავდეთ გარეთ თავისუფლად გასავლელოდ.

საქმელად კარგ თივასთან ერთად ხორბალი ან სხვა რამ ნოყიერი საქმელი უნდა ეძლეოდეს და აგრედვე მარილიც. თივის მაგივრად შეიძლება ზოგჯერ ბზე და ბურდოც მიეცეს.

საქმელი იმდენი უნდა ეძლეოდეს, რომ ზამთარ-ზაფხულ ბუღა ლეშზე იყოს.

თუ დაიკარგა, იმან უნდა ზღოს, ვისაც ებარა; თუ რამე ჭირისაგან ან



ავადმყოფობისაგან მოკვდა, არავის არათფერი ეზღვევინება, ხოლო ადგილობრივ მამასახლისისაგან ან ვინმე სხვა იქაურ მოხელე პირისაგან ბეითალის, თუ შეიძლება, თანადასწრებით ოქმი უნდა იყოს შემდგარი დასამოწმებლად იმისა, რომ ბულა არავის არც მოუკლავს,

არც დაუკლავს, არამედ თავისთავად მოკვდა.

ვინც ბულის შენახვაში ყველა ზემოხსენებულ პირობებს სავსებით არ აასრულებს, იმას ბულა დაუყონებლივ გამოერთმევა და სხვას გარდაეცემა.

**ვ. ახოშვილი.**

## იაფი სესხის საჭიროება სოფლად

(შემდგომ\*)

### საკრედიტო ამხანაგობის მიზანი

საკრედიტო ამხანაგობის მიზანია, გაუადვილოს თავის წევრებს სასოფლო-მეურნეობის წარმოება და გაუმჯობესობა. ამ მიზანს ამხანაგობა ახწვეს სესხის მიცემით, შუამავლობის გაწევით და ფულის შენახვა-შეგროვებით.

#### ა) სესხი.

ამხანაგობა აძლევს სესხს მარტო თავის წევრებს შემდეგ საჭიროებისათვის: ცოცხალი საქონლის (ხარ-კამეჩის და სხ.) საყიდლათ, სამეურნეო იარაღების შესაძენათ, ვენახ-ბოსტნის გასაშენებლად, საბძელ-კალოს, წისკვილის და ან სხვა ამ გვარ საქმის გასამართავად, სახლის ასაშენებლად, მინდვრის იჯარით ასაღებად და სხვა, ერთი სიტყვით ამხანაგობა ასესხებს ფულს ისეთ სამეურნეო-საოჯახო საქმისთვის, რომელიც მისცემს ფულის გამტანს საშუალებას, გაუმჯობესოს თავისი მეურნეობა, მეტი შემოსავალი მიიღოს, ამხანაგობის ვალიც გაისტუმროს და თითონაც მოგებული დარჩეს. მხოლოდ ასეთ საქმისთვის აღებული სესხი არის სასარგებლო და მისი გადახდაც არ გაუძნელდება ფულის გამტანს. თუ ამხანაგს ცხოვრების სახსარი არა აქვს და

ფულს იმიტომ სესხულობს, რომ თავის-თავზე დახარჯოს, მაშინ ცხადია მას სესხი ვერას შესძენს. ამას გარდა ასეთი სესხი საზარალოც იქნება, რადგან სესხს გადახდა უნდა და სარგებელიც უნდა იხადოს. იმიტომ სესხი არ უნდა გაიცეს სამარხათ, ან ქორწილის და ნათლობის გასამართავად და სხვა. ასეთ საქმისთვის აღებული სესხი არათფერს არ შესძენს წევრს და ტყუილად წამოადებს კისერზე ვალს. ქელეხ-ქორწილის გამართვის გარდა, ჩვენ კიდევ ათასნაირი დამლუპველი ჩვეულებები გვაქვს, რომლებსაც მკვიდრათ აქვთ გამდგარი ფესვი ჩვენს ცხოვრებაში და რომელთა შეუსრულებლობა დიდ სირცხვილათ ითვლება. ამ გვარ შემთხვევაში ამხანაგობამ უნდა ურჩიოს წევრს, არ აჰყვეს ჩვეულებას და მით ვალში არ ჩავარდეს ტყუილ-უბრალოთ.

ფულს ამხანაგობა ყველას ერთნაირად არ ენდობა, ზოგს მეტს კრედიტს უხსნის, ზოგს ნაკლებს. თუ წევრს ამხანაგობა იცნობს, როგორც შრომის მოყვარეს და სვინდისიერ კაცს, თუნდა დიდი შეძლებაც არა ჰქონდეს, მას ამხანაგობა მეტ კრედიტს უხსნის; საშუალოთ მშრომელს უფრო ნაკლებს;

\* იხ. „მოსავლის“ I №.



ზარმაცს ამხანაგობა სრულებითაც არ ენდობა და არც ამხანაგათ იღებს.

საკრედიტო ამხანაგობის სამაგალითო წესდებით სესხის რაოდენობა განსაზღვრულია 30 თუმნით, მაგრამ ამოდენა სესხის მიცემა კარგი არ არის, ნამეტნავად პირველათ, რადგან მაშინ ბევრი ვერ ისარგებლებს ფულით. უკეთესია სესხი ათ თუმანზე მეტი არ იყოს, ე. ი. თვითფულ წვევრს ათ თუმანზე მეტის გატანა არ შეეძლოს.

სესხს ამხანაგობა აძლევს სხვადასხვა ვადით, იმის და მიხედვით, თუ როგორ საქმისთვის სესხულობს ფულს. თუ ვინმე სესხულობს ფულს ჰურის სასყიდლათ მარტში, სესხი მას მიეცემა მარიამობისთვემდე, ე. ი. ხუთი თვით, რადგანაც ამ ხნის განმავლობაში მსესხებელს შეუძლიან მოსავალი გაყიდოს და ამხანაგობას ფული დაუბრუნოს. ასეთ ხელ-და-ხელ საჭიროებისათვის სესხი შეიძლება მიეცეს ერთ წლამდე. თუ ამხანაგი სესხულობს ფულს ხარ-კამეჩის ან რაიმე იარაღის სასყიდლათ, სესხი შეიძლება მიეცეს სამი წლით. თუ ფული გააქვს ამხანაგს იმიტომ, რომ ან სახლი ააშენოს, ან ვენახი გააშენოს, ან წისკვილი გამართოს და ან სხვა ამ გვარ საქმეს მოახმაროს, სესხი შეიძლება მიეცეს ხუთი წლის ვადით. შეიძლება გრძელ ვადიან სესხის გადახდა წვრილწვრილადაც. ეს დამოკიდებულია წვევრის სურვილზე. ამხანაგობას წესდების ძალით იმოდენა თანხა შეუძლიან გრძელი ვადით გასცეს, რამდენსაც შეადგენს ამხანაგობის საკუთარი ძირითადი თანხის ნახევარი და მის მიერ გრძელი ვადით ნასესხები მთელი თანხა. მაგალითად: თუ ძირითადი თანხა ამხანაგობისა არის 100 თუმანი, გრძელი ვა-

დით შესანახად მიღებული და ამხანაგობის მიერ გრძელ ვადითვე ნასესხები ფული კიდევ 200 თუმანი, მაშ გრძელ ვადიან სესხად ამხანაგობა გასცემს (50+200) 250 თუმანს.

ამხანაგობა სესხს აძლევს პირადის ნდობით, თავდებით და გირაოთი. მაგრამ, რადგანაც თავდების შოვნა „უმაღარიჩოთ“ ძნელია სოფლად, ნამეტნავად საწყალ კაცისთვის, იმიტომ ამხანაგობამ მსესხებელს თავდები და გირაო იშვიათად უნდა მოსთხოვოს და მომეტებულ ნაწილად პირადის ნდობით უნდა აძლიოს სესხი.

სესხის გატანის დროს წვევრმა უნდა სთქვას, თუ რა საქმისთვის სესხულობს ფულს. ეს იმიტომია საჭირო, რომ ამხანაგობას შეეძლოს განსაჯოს: როგორ საქმეზე აპირებს წვევრი ფულის დახარჯვას: სახეიროზე, თუ საზარალოზე. ამხანაგობამ უნდა თვალყური ადევნოს, რომ წვევრმა ფული მოახმაროს სწორედ იმ საქმეს, რომლისთვისაც ისესხა. თუ ვინიცოდა ამხანაგმა მოატყუა და ფული სხვა რამე საზარალო საქმეს მოახმარა, ამხანაგობას შეუძლიან გატანილი ფული გადაახდევინოს და ასეთი მატყუარა ამხანაგი დასაჯოს.

ამხანაგობა გასცემს ისეთ სესხსაც, რომლის გატანის დროს ამხანაგი მოვალე არ არის სთქვას, თუ რა საქმისთვის სესხულობს ფულს. ასეთი სესხი არ უნდა აღემატებოდეს ერთ მეოთხედ ნაწილს უდიდეს კრედიტისას, ე. ი. თუ უდიდესი კრედიტი 10 თუმანია, შეიძლება ამგვარ სესხის გატანა თუმანამდე.

ს. კახელიძე

(დასასრული იქნება)



# ჭურნალ „მოსავლის“ შემოსავალ-გასავალი 1910 წ.

## ხარჯი :

ჭურნალის დასაბეჭდი ქალაქ- ლი დაჯდა . . . . .	216 — „
აწყობა-დაბეჭდვა ჭურნალი- სა . . . . .	529 — „
პრემიისა და სარჩევის დაბე- ჭდა . . . . .	20 — 60
თესლეულობის დარიგება პრე- მიად . . . . .	12 — „
ფოსტის ხარჯი . . . . .	144 — „
კანცელარიისა და სხვა ხარ- ჯი . . . . .	57 — „
განცხადებებზე . . . . .	14 — „
შარშანდლიდან გადმოსული ვალი . . . . .	350 — 04
<b>სულ . . . . .</b>	<b>1342 — 64</b>

## შემოსავალი :

243 ხელის მომწერ- ლებიდან *) . . . . .	642 — „
ხელზე გასყიდვით . . . . .	9 — 72
დაბეჭდილი განცხა- დებებიდან . . . . .	21 — „
1909 წ. ნომრები გაიყიდა ყდა-კაზ- მული . . . . .	34 მ „ 706 — 72
ტფილისის სასოფ- ლო სამეურნეო ბანკიდან გვეხმარა . . . . .	81 — 51
ტფილისის გუბ. თავ- აზნაურობა და გვე- ხმარა . . . . .	300 — „
<b>სულ შემოვიდა</b>	<b>1088 — 25</b>
<b>გვრჩება ვალი . . . . .</b>	<b>254 — 41</b>
<b>სულ . . . . .</b>	<b>1342 — 64</b>

\*) 8 ეკზემპ. უფასოდ იგზავნებოდა;  
21 ეკზ — სა ჯერ არ შემოსულა.

მიიღება ხელის-მოწერა ჭურნალ

# წელიწადი მესამე „**მოსავალი**“ წელიწადი მესამე 1911 წლისათვის.

ჭურნალი გამოვა იმავე პროგრამით. ეღირება წლ. ურად **3** მანეთი.  
იეიდება აგრედვე 1909 წლის „მოსავლის“ ნომრები ედა-  
კაზმული **2** მან. და 1910 წლის უელო **3** მან.



რედაქ.-გამომცემელი ვ. ი. რეცხილაძე